განმარტებითი ბარათი

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია საქართველოში დემოკრატიული, კონკურენტუნარიანი და თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად მოქმედი საარჩევნო სისტემის შეცვლა, რაც თავის მხრივ საჭიროებს როგორც საკონსტიტუციო, ისე საარჩევნო საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონმდებლობის ცვლილებას. არსებული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვას მანდატებში და არ არის დაცული კონსტიტუციით გარანტირებული ერთი ხმის თანაბრობის პრინციპი.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის შექმნის მიზანია, ქვეყანაში დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნა და ამ პროცესში ფართო პოლიტიკური სპექტრის ჩართულობის უზრუნველყოფა. ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“ გავლენას ახდენს ყველა პოლიტიკური პარტიის საქმიანობაზე, აუცილებელია, ის წარმოადგენდეს ფართო პოლიტიკური კონსესუსის პროდუქტს. ამდენად მიზანშეწონილია, საარჩევნო გარემოს რეფორმის პროცესში ჩართული იყვნენ არასაპარლამენტო პარტიებიც.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის შექმნა. ინტერპარტიული კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში 2015 წლის 25 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საკანონმდებლო ინიციატივის სახით

საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“ და საარჩევნო საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებულ კანონებში შესატან ცვლილებთა პაკეტს. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განისაზღვრება „საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის“ შემადგენლობა, ფუნქციები და პარლამენტისათვის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის წარდგენის ვადები. ასევე დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია კომისიის დებულების მიღება დადგენილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება:

დადგენილების პროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის რომელზეც ვრცელდება დადგენილების პროექტი.

ბ.ვ) დადგენილების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

დადგენილების პროექტი არ განსაზღვრავს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის წესს.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

დადგენილების პროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

1) პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები“;
2) პოლიტიკური პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“
3) პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“
4) პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“
5) პოლიტიკური პარტია „ეროვნული დემოკრატიული მოძრაობა“
6) პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“
7) პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
8) პოლიტიკური პარტია „თავისუფლება- ზვიად გამსახურდიას გზა“;
9) პოლიტიკური პარტია „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“
10) პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
11) პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“;
12) პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი დემოკრატები“;
13) პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“;

14) პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:

1) პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები“;
2) პოლიტიკური პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“
3) პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“
4) პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“
5) პოლიტიკური პარტია „ეროვნული დემოკრატიული მოძრაობა“
6) პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“
7) პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
8) პოლიტიკური პარტია „თავისუფლება- ზვიად გამსახურდიას გზა“;
9) პოლიტიკური პარტია „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“
10) პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
11) პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“;
12) პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი დემოკრატები“;
13) პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“;
14) პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“.